

საქართველოს  
ვირველი არსი

გაორჯო კვარტლის  
ანგარიში

---

▶ 2020 წელი

## ► COVID-19


მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჯარო და კერძო ორგანიზაციებს მოუხდათ სამუშაო გარემოს შეცვლა და ადაპტირება ახალ რეგულაციებთან. ცხადია, მიმდინარე მოვლენებმა გავლენა იქონია მედიაზეც. მისთვის დამახასიათებელი მაღალი კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოებრივი მაუწყებელი ზედმინწევნით ასრულებდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ადგილობრივი შესაბამისი სტრუქტურების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, როგორც თანამშრომელთათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო პირობების შეთავაზების, ისე ზოგადად, ვირუსის გავრცელების პრევენციის ხელშეწყობის კუთხით.

# COVID 19

1 TV.GE



## ▶ მნიშვნელოვანი სიახლეები



პირველი არხი  
ტელესკოლა



### “პირველი არხი - ტელესკოლა“

ეს არის ინიციატივა, რომელიც ზუსტად ეხმიანება ქვეყნის და ორგანიზაციის უმთავრეს პრიორიტეტს - განათლებას (ქვეყანაში განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია). ეს მასშტაბური პროექტი პირველი არხის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა.

ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში 21 აპრილამდე გამოცხადდა საგანგებო რეჟიმი. შეჩერდა სასწავლო პროცესი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა სწავლის ონლაინ რეჟიმში გაგრძელება. დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, განათლების სამინისტროსა და პირველი არხის მიერ მომზადდა პროექტი „ტელესკოლა“. სამინისტროსთან ერთად შეიქმნა გაკვეთილების ცხრილი, რომელმაც კლასების მიხედვით მოიცვა ის საგნები, რომლებიც დამტკიცებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. 30 მარტიდან „მეორე არხი“ გადაკეთდა საგანმანათლებლო პლატფორმად „პირველი არხი - ტელესკოლა“ და დაიწყო მოსწავლეებისთვის სატელევიზიო გაკვეთილების შეთავაზება. საეთერო ბადე (გაკვეთილების ცხრილი) ყველა კლასის საგანს მოიცავს. ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ტელეგაკვეთილებს სხვადასხვა საგნის გამოცდილი პედაგოგები ატარებდნენ და მოსწავლეებს „ტელესკოლის“ ფორმატს მორგებულ სასწავლო პროგრამას სთავაზობდნენ.

„ტელესკოლის“ გაკვეთილების დაგეგმვისას სპეციალური პედაგოგებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციების საფუძველზე ინკლუზიური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესიც იქნა გათვალისწინებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა გაკვეთილი თარგმნება სურდო თარგმანით.

პროექტის პირველ ეტაპზე, ეთნიკური უმცირესობისთვის ტარდება ქართულის, როგორც მეორე ენის, აზერბაიჯანული და სომხური ენების ტელე - გაკვეთილები და აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სხვა საგნების გაკვეთილები.

პროექტი აბიტურიენტის საათის ჩატარებასაც ითვალისწინებს, სადაც შესაბამისი დარგის სპეციალისტები აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის უწევენ კონსულტაციას.

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებისა, არხი მოსწავლეებს სთავაზობს გამამხნეველ ვარჯიშებს, ცეკვის, ხატვის, ჭადრაკის გაკვეთილებს, ასევე დათო ევგენიძის საავტორო გადაცემას „მუსიკის გაკვეთილები“, „ხალხური სიმღერის გაკვეთილებს“, „მშობლის საათს“, 16 სერია დოკ. ფილმს „ქართლის ცხოვრება მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად“ და სხვა შემეცნებით, მხატვრულ თუ დოკუმენტურ ფილმებს. სამომავლოდ, იგეგმება მსოფლიოს საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამების თარგმნა და პროექტის ფარგლებში ჩვენება.

„ტელესკოლა“ დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ფორმატია, რომელიც ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან, საშუალებას აძლევს, ნახოს საინტერესო გაკვეთილები სხვადასხვა საგანში.

გაკვეთილები ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ტარდება. პროექტს შაბათს და კვირას სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი პროგრამებიც დაემატა. ტელესკოლის გაკვეთილების განრიგი და სხვა დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე:

<https://1tv.ge/tv-radio/arkhebi/pirveli-arkhi-ganatileba/>

პროექტი „ტელესკოლა“, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გრძელვადიანი იქნება და კორონა ვირუსის საფრთხის დაძლევის შემდეგაც გაგრძელდება. ახალი პროექტისთვის გამოყენებული იქნება საქართველოს პირველი არხის სხვადასხვა მედია პლატფორმა ვებპორტალი Itv.ge, საქართველოს პირველი არხის Youtube და Facebook გვერდები.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OECD) განაცხადა, რომ „ტელესკოლა“, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დისტანციური განათლების მოდელი, ქვეყანას მისცემს აკადემიური წლის გამოცხადების გამოწვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას.



## ანტიფეიკი - ყველა ამბავი გადაამოწმა აქ!



საქართველოს პირველმა არხმა შექმნა პლატფორმა ანტიფეიკი, რომლის მიზანია ინფორმაციის ნამდვილობის დადგენა. პლატფორმა <https://antifake.ltv.ge/>, ინტეგრირებული პირველი არხის ოფიციალურ ვებ-გვერდთან [ltv.ge](https://www.ltv.ge).

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც ყალბი ამბის გავრცელება ეპოქის გამოწვევაა, ვებ-გვერდის <https://antifake.ltv.ge/> მიზანია პასუხი გასცეს მოქალაქეების შეკითხვას ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებით. მოქალაქეს შეუძლია „ყველა ამბავი გადაამოწმოს აქ“.

მოქალაქეს შეუძლია გამოაგზავნოს მედიასამუალებებსა და სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია და პირველი არხისაგან მიიღოს გადამოწმებული, ფაქტებით გამყარებული, დასაბუთებული პასუხი, რომელიც ამავე ვებ-გვერდზე იტვირთება. ახალ პლატფორმაზე ამბები ოთხ ქვეკატეგორიაში განთავსდა:

სივართლა

დიდწილად სივართლა

სიყალბა



აბუსრდი

ანტიფეიკი პროაქტიურადაც მუშაობს და თავადაც მოიძიებს იმ ყალბს ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს და კითხვის ნიშნებს აჩენს.

მსოფლიო პანდემიამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა, თუ რამდენად სახიფათო შეიძლება იყოს ყალბი ამბავი. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა აღნიშნულ თემას კვლევაც მიუძღვნა და დაადგინა, რომ პანდემიის პერიოდში განსაკუთრებული სანდოობითა და საინფორმაციო ჰიგიენით სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლები გამოირჩეოდნენ.

## საქართველოს პირველი არხის ახალი შენობა



კოსტავას N68-ში მდებარე საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის გასხვისებაზე აუქციონი გამოაცხადა. აუქციონის პირობები განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე [eauction.ge](http://eauction.ge).

ამასთან, 9 ივნისს საქართველოს პირველმა არხმა ახალი შენობის მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა, გამარჯვებული კომპანია სამუშაოებს იმ დიზაინის მიხედვით ჩაატარებს, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობის შედეგად იქნა შერჩეული. 1966 წელს კოსტავას ქუჩაზე აშენებული ისტორიული შენობა ავარიულია და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს პირველი არხის ახალი მისამართი, 2023 წლიდან, პოლიტკოვსკაიას 31 ნომერი იქნება, სადაც თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შენობა განთავსდება.

# გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელო გედიისთვის - ALL THINGS BEING EQUAL



2020 წლის მეორე კვარტალში ქართულ ენაზე გახდა ხელმისაწვდომი გენდერული თანასწორობის შესახებ შექმნილი დოკუმენტი All things being equal.

ანგარიშზე საქართველოს პირველი არხის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის, თინათინ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენდერული თანასწორობის ჯგუფი მუშაობდა, რომელიც 11 ქვეყნის წარმომადგენლისგან შედგება.

გენდერული თანასწორობის ანგარიში სახელწოდებით All Things Being Equal საზოგადოებრივი მაუწყებლების ერთგვარი გზამკვლევი, რომელიც აგებულია EBU-ს წევრი ქვეყნების რეალურ მაგალითებზე და მოუწოდებს ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრ ქვეყნებს, დაიწყონ საკუთარი ორგანიზაციების მონაცემების გადახედვა ამ მიმართულებით და იმოქმედონ გენდერული ბალანსის მისაღწევად.

ანგარიში ევროპის მაუწყებელთა კავშირის 83-ე გენერალურ ასამბლეაზე თინათინ ბერძენიშვილმა 2019 წლის დეკემბერში წარადგინა.

ანგარიშის წარდგენისას მასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს EBU-ს პრეზიდენტმა/BBC-ის გენერალურმა დირექტორმა ტონი ჰოლმა და EBU-ს გენერალურმა დირექტორმა ნოელ კურანმა.





# „რადიომუზეუმი“

25 მაისს საქართველოს პირველი არხის ახალი უნიკალური პროექტი „რადიომუზეუმი“ დაიწყო. პირველი არხის რადიოს საცავებში, ოქროს ფონდში დაცული უნიკალური აუდიო მასალა, ვებ-გვერდზე <https://1tv.ge/radiomuzeumi/> განთავსდა და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. უნიკალური საგალობლები და ფოლკლორული ჩანაწერები ნაწყვეტები ისტორიული სპექტაკლებიდან, ცნობილი მწერლებისა და პოეტების ხმები, მეცნიერებისა თუ საზოგადო მოღვაწეების აუდიოჩანაწერები. ვებგვერდზე ჩანაწერები ყოველდღიურად დაემატება.

# რადიოს იუბილე - 95

23 მაისს საქართველოს რადიოს 95 წელი შეუსრულდა. პანდემიის გამო შექმნილი ვითარების მიუხედავად იუბილე აღინიშნა და გაშუქდა საქართველოს პირველი არხის და საქართველოს რადიოს ეთერში.



## პირველი არხი ბიზნესისტვის უფასო კომერციული დრო

### პირველი არხი ბიზნესისტვის უფასო კომერციული დრო

დისტანციური მომსახურების კომპანიებისთვის

COVID-19  
დარჩი  
სახლში

უსაფრთხო  
მადია



საქართველოს  
პირველი არხი



COVID-19

პანდემიის პერიოდში პირველმა არხმა ბიზნესს მისცა საშუალება გამოეყენებინათ უფასო კომერციული დრო დისტანციური ბიზნესის მომსახურებისთვის.

საქართველოს მასშტაბით ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული კარანტინის პერიოდში, საქართველოს პირველმა არხმა ბიზნეს სექტორს დახმარება შესთავაზა - იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ ადგილზე მიტანის მომსახურება, მაუწყებელმა უფასო კომერციულ სარეკლამო დრო გამოყო.

## ტელესარიალი „ქიმია“



მეორე კვარტლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა ახალი ქართული ტელესერიალის „ქიმია“ გადაღებები. მაყურებელი პროდუქტს

პირველი არხის ეთერში სექტემბრიდან იხილავს.

დრამა „ქიმია“ ქალთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის არაერთ მწვავე პრობლემას შეეხება და გათვლილია აუდიტორიის ძალიან ფართო ნაწილზე, როგორც თბილისში, ისე ქვეყნის რეგიონებსა და პერიფერიებში.

## სააღდგომო ლიტურგიის ტრანსლირება



აპრილის თვეში განხორციელდა სააღდგომო ლიტურგიის ტრანსლირება სამების საკათედრო ტაძრიდან, რომლის ექსკლუზიური სიგნალიც პირველმა არხმა, აბსოლუტურად უსასყიდლოდ, ღია გახადა ყველა მსურველი მედია საშუალებისთვის, რათა ყოველ მოქალაქეს ჰქონოდა შესაძლებლობა დისტანციურად თვალ-ყური ედევნებინა ყველაზე მნიშვნელოვანი მართლმადიდებლური დღესასწაულის საზეიმო წირვისთვის.

ასევე, აპრილის თვეში, პანდემიისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის ფარგლებში, სისტემატურად შექდებოდა საკვირაო წირვა სამების ტაძრიდან.

## ჰანდემიის პერიოდში ონლაინ ტრეინინგები

# EBU

OPERATING EUROVISION AND EURORADIO

საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად არსებული ჰანდემიისა, აქტიურად ტარდებოდა ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ ორგანიზებული ონლაინ ტრეინინგები, რომელიც ეხებოდა ჟურნალისტების მხრიდან დისტანციურ მუშაობას და სახლის პირობებში ტელესტუდიის მოწყობას.

## 2020 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსი

2020 წლის ევროვიზიის გაუქმების გამო, ევროპის მაუწყებელთა კავშირმა წევრ ქვეყნებს შესთავაზა კონცერტი, რომელშიც ევროვიზიის წლევეანდელი კონკურსანტები მონაწილეობდნენ. მაყურებელმა ეს კონცერტი 16 მაისს პირველი არხის პირდაპირ ეთერში იხილა.



## ▶ პირველი არხი ცვლილება საეთერო ბადეში

პანდემიის გამო შექმნილი ვითარების მიუხედავად, პირველმა არხმა საეთერო ბადეში შეინარჩუნა ის ძირითადი გადაცემები, რომლებიც საზოგადოების ინფორმირებას ემსახურებოდა. ამასთან, ეთერში თუ მის მიღმა, დაცული იყო ვირუსის პრევენციასთან დაკავშირებული ყველა საგანგებო რეკომენდაცია. დროებით შეიზღუდა მხოლოდ იმ გადაცემების წარმოება, რომელთა ფორმატიც ითვალისწინებდა აუდიტორიის/ბავშვების დასწრებას. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების და შეზღუდვების შერბილების შემდეგ, ყველა გადაცემა დაუბრუნდა ეთერს.



გადაცემამ „**პირადი ექიმი**“, პანდემიის პერიოდში, თავისი შინაარსის და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, 11 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით პრაიმ-ტაიმ-

ში გადაინაცვლა გაზრდილი ფორმატით და უზრუნველყოფდა საზოგადოების მაქსიმალურ პროფესიონალურ ინფორმირებას კორონა ვირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე. 13 აპრილიდან „პირადი ექიმი“ ჩვეულ, დილის ზოლს და ფორმატს დაუბრუნდა. შეიქმნა ფეისბუქ აპლიკაცია „აირჩიე შენი თემა“, რომლის საშუალებით მაყურებელს შესაძლოა აქვს ჩაერთოს გადაცემის თემის შერჩევის პროცესში.

„**ახალი დღე**“ - შეჩერდა ძალიან მოკლე პერიოდით, 13 დან 26 მარტამდე. 27 მარტიდან მან შუადღის ზოლში გადაინაცვლა გამარტივებული ფორმატით - ახალი რეგულაციების გამო, დროებით შეჩერდა რუბრიკები მოწვეული სტუმრების მონაწილეობით. 25 მაისიდან კი გადაცემა დაუბრუნდა თავის ჩვეულ საეთერო დროსა და ფორმატს. დაემატა ახალი რუბრიკები: „დამატებითი შტრიხები პორტრეტისათვის“ და „სოციალური მედია და ყალბი ინფორმაცია.“





არ შეჩერებულა გადაცემა „აკუსტიკა“, რომლის შემოქმედებითი გუნდი ყოველდღიურად სთავაზობდა მაყურებელს ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი ახალგაზრდა მუსიკოსების მიერ იზოლაციის პირობებში ჩაწერილ მუსიკალურ თოქ - პროგრამას „სახლიდან სახლში“. „აკუსტიკა“ გეგმავს გამოეხმაუროს შიდა ტურიზმის განვითარებისათვის წამოწყებულ სახელმწიფო კამპანიას გადაცემების ჩაწერით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ივნისის დასაწყისში, კახეთში უკვე ჩაიწერა ერთი ასეთი სრული გადაცემა.

პროექტი კვლავ რჩება ქართულ მედია სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მუსიკალურ პროექტად თავისი აქტუალური კონცეფციის დამსახურებით.

„დოსიკ“ უჩვეულო და განსხვავებული ფორმატით გაგრძელდა. გადაცემის ჩაწერა ხდებოდა წამყვანის ადაცემები მიეძღვნა დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე რამდენიმე აქტუალურ თემას. სპეციალურად პანდემიის პერიოდისთვის, ფრანგულ - გერმანული ტელეარხისაგან „არტე“, შეძენილ იქნა დოკუმენტური ფილმი „პანდემია - უჩინარი საფრთხე“. ამ გადაცემამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.



„რანინა“ - შეზღუდვების გამო შეჩერებული ჩაწერები ივნისში განაახლა. პროექტს მაყურებელი სექტემბრიდან იხილავს, ჟიურის კი წინ ურთულესი ამოცანა აქვს, გამოავლინოს საქართველოს ხმა 2020 წლის საბავშვო ევროვიზიაზე, რომელიც წელს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ჩატარდება. რანინა კვლავ რჩება არა მარტო წარმატებულ, არამედ ერთადერთ საბავშვო მეგაშოუდ ქართულ ტელევიზორცეში.

**დროებითი შეჩერების შემდეგ, სატელევიზიო ბადე სრულად აღდგა და ჩაეშვა ყველა დაგეგმილი გადაცემა, გარდა იმ საერთაშორისო თუ ადგილობრივი სპორტული ასპარეზობებისა და მუსიკალური შოუებისა, რომლებიც პანდემიის გამო გარკვეული დროით გადაიდო.**

უნდა აღინიშნოს, რომ 12 ივნისიდან ფებრუარში ევროპის ჩემპიონატის ტრანსლირება იგეგმებოდა, რიომელიც პანდემიის გამო ერთი წლით გადაიდო.

## ▶ ახალი და მიმდინარე ამაზი

„მოამბე“ უმცირესობების ენაზე



საანგარიშო პერიოდში შეიცვალა უმცირესობის ენებზე ახალი ამბების მაუწყებლობის ფორმატი. შეგახსენებთ, რომ პროექტის **მრავალფეროვანი საქართველო** ფარგლებში მაუწყებლობს აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიები **Birinci Kanal** (პირველი არხი) და **Առաջին Ալქჲ** (პირველი არხი). ორივე არხზე კოლაჟური საინფორმაციო გამოშვება გადაიცემოდა ყოველ საათში, ხოლო შემაჯამებელი **მოამბე 19:00 საათზე** გადიოდა ყოველდღე კვირადღის გარდა.

მეორე კვარტალიდან ფორმატი შეიცვალა - 15 წუთიანი **მოამბე** გადის 12:00, 15:00, 18:00 და 20:00 საათზე. ხოლო 21 საათზე გადის **მოამბის** 21-საათიანი გამოშვება სინქრონული თარგმანით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

**გარდა ამისა, მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ 21:00 საათზე სინქრონულად აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ითარგმნება „მრავალფეროვანი საქართველო“ ჯგუფის მიერ.**

## საკონსტიტუციო ცვლილებების სახალხო

საანგარიშო პერიოდში, უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენად იქცა საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება. საკონსტიტუციო ცვლილებები ითვალისწინებს სახალხო განხილვების პროცედურას, რაც თავის მხრივ დედაქალაქსა და რეგიონებში საჯარო შეხვედრებს გულისხმობს. სახალხო განხილვის ფორმატი შეიცვალა „კოვიდ-19“-ის გავრცელების რისკების გათვალისწინებით. ჯანდაცვის სისტემის რეკომენდაციების მიხედვით, გადაწყდა სახალხო განხილვის ტელეეთერის საშუალებით ჩატარება.

ინტერაქცია საქართველოს პირველი არხისა და აჭარის ტელევიზიის მეშვეობით მოხდა - ცვლილებებს მოსახლეობა სატელევიზიო ეთერით გაეცნო, კითხვები კი ინტერნეტის საშუალებით დაისვა.

პროექტთან დაკავშირებით შეკითხვების გამოგზავნის შესაძლებლობა ჰქონდა ნებისმიერ მოქალაქეს. შეკითხვების გამოგზავნის ელექტრონული მისამართი და განხილვაში მონაწილეობის წესები 1tv.ge-ზე გამოქვეყნდა და ტელე და რადიო ეთერით გაშუქდა.

პირველ არხზე სახალხო განხილვა გაიმართა 4 ივნისს და მასში მონაწილეობდნენ კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე და წევრები. სახალხო - განხილვებს მოდერაცია გაუწია ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ხელმძღვანელმა გიორგი გვიმრაძემ.

## არჩევნები 2020



საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკმა დაიწყო პროექტი არჩევნები 2020. პროექტის მიზანია საარჩევნო პროცესების ყოვლისმომცველი და დაბალანსებული გაშუქება. გადაცემა საქართველოს რადიოს ეთერში გადის ყოველ სამუშაო დღეს 14:00-ზე. გადაცემის ქრონომეტრაჟი 25 წუთია. გადაცემის წამყვანები არიან გოგი ჩოკოშვილი, ირაკლი აბსანძე, მაკა ცინცაძე, თამარ ფიროსმანიშვილი და დავით ჰაიჭაძე.



## „ჩვენი ქართული ენა“

„ჩვენი ქართული ენა“ არის საქართველოს პირველი არხის პროექტი, რომელსაც **მრავალფეროვანი საქართველოს ჯგუფი** ახორციელებს და ქართული ენის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, იმ რეგიონში, სადაც ჩვენი თანამოქალაქე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ცხოვრობენ.

საქართველოს პირველმა არხმა, პროექტის „ჩვენი ქართული ენა“ ფარგლებში, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის ქართულ ენაში ოლიმპიადა ჩაატარა. კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის ფარგლებში ოლიმპიადა ონლაინრეჟიმში გაიმართა.



პირველმა არხმა სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებისთვის გამოცხადებული ონლაინ - ოლიმპიადის ჩვენი ქართული ენა გამარჯვებულები დააჯილდოვა. სპეციალური პრიზები



გადაეცათ გამარჯვებული მოსწავლეების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებსაც.

ონლაინ-ოლიმპიადაში, **ჩვენი ქართული ენა** მონაწილეობის სურვილი არაქართულენოვანი სკოლების 200-მდე მოსწავლემ გამოთქვა. გასაუბრების შედეგად ფინალურ ეტაპზე მეშვიდე კლასის 44 მოსწავლე გადავიდა.


პროექტი აშშ-ის საელჩოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით განხორციელდა.

საქართველოს პირველი არხის პროექტის - ჩვენი ქართული ენა მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები, რათა მათ ჩვენს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვა შეძლონ.

პირველი არხი მომავალში საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს ოლიმპიადის გაგრძელებას. პროექტის ფარგლებში, არაერთი აქტივობა დაგეგმილი.

## ახალი სტუდია

ახალი სეზონიდან მოამბე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი სტუდიიდან გადის ეთერში. შესაბამისად, საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“, ასევე ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი და თანამედროვე დიზაინის მქონე სტუდიებიდან გადასცემს ობიექტურ, გადამოწმებულ, უტყუარ და ყველაზე სანდო ინფორმაციას საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.



## ▶ საქართველოს რადიო



### საეთერო გადაცემა

მეორე კვარტალში აღდგა საქართველოს რადიოს ბადეში არსებული ყველა გადაცემა და დაემატა ორი ახალი:

■ ფსიქოლოგის საათი      ■ შენი საქართველო

### ფსიქოლოგის საათი

აუდიტორიის მოთხოვნილებების და კოვიდ-19 შექმნილ ახალ რეალობასთან დაკავშირებით, მომზადდა ახალი გადაცემათა ციკლი „ფსიქოლოგის საათი“, სადაც პირდაპირ ეთერში კვალიფიციური ფსიქოლოგი კონსულტაციას უწევს მსმენელებს და ეხმარება მათ პანდემიით გამოწვეული სტრესების დაძლევაში.

### შენი საქართველო


ეს არის გადაცემათა ციკლი, რომელიც ეძღვნება ქართულ კულტურას, ხალხურ სიმღერას. მულტიმედიურ გადაცემაში „შენი საქართველო“ საუბარია თუ რა ერთობლიობას ქმნის ეროვნული, საეკლესიო და პროფესიული კულტურები. ნაჩვენებია ოქროს ფონდში დაცულ უნიკალურ მასალა, გადაცემაში გამოყენებულია ანსამბლ „შავნაბადას“ მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმები.

## რადიოთეატრი

- რადიოთეატრი მონაწილეობას იღებს კოვიდ-19 პირობებში შექმნილ მინი რადიოსპექტაკლების ფესტივალში.
- რადიოთეატრი აგრძელებს მუშაობას Prix Europa 2020 საკონკურსო რადიოსპექტაკლზე.
- საქართველოს რადიოს მინი რადიოდადგმა რუმინეთის ფესტივალზე GRAND PRIX NOVA საფინანსო ხუთეულში მოხვდა, რადიოთეატრის მთავარი რეჟისორი ზურაბ კანდელაკი კი ჟიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

## ახალი სტუდია

დასრულდა ლიტდრამის სტუდიის და სააპარატოს რემონტი და ახალი, თანამედროვე, აპარატურით აღიჭურვა. ეროსი მანჯგალაძის სტუდიის მოდერნიზება პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და შესაძლებელი გახდა თეატრალური და მუსიკალური მულტიმედიური გადაცემების, კონცერტების მაღალი ხარისხით ჩაიწერა და ტრანსლირება.



## ▶ ტელეფილმები და აპოქა

**მეორე კვარტალის პერიოდში მომზადდა და ეთერში გავიდა შემდეგი ფილმები:**

- 2020 წლის 3 მაისს გავიდა ერთობლივი წარმოებით დამზადებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჭა“ (რეჟისორი: ელდარ შენგელაია);
- 2020 წლის 20 ივნისს ეთერში გავიდა მანანა ხიდაშელის, ზაზა ჭლარკავა და ლევან ადამიას დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ჭამბაზის კალენდარი“;
- დასრულდა მიხეილ ბასილაძისა და შალვა შენგელის სერიალი „საიდუმლო კარტოთეკა“ (მე-2 სეზონის მე-4 და მე-5 ფილმები);
- დასრულდა ანდრო ჭიაურელის მრავალ სერიანი დოკუმენტური სერიალის „პრესა და ერის“ 6 სერია;
- მომზადდა პროექტი „ისტორიის ანარეკლები“.

## ▶ არქივი

მეორე კვარტალში არქივი მუშაობას განაგრძობდა გარკვეულად შეზღუდულ რეჟიმში, რამდენადაც ა. ნ. დეკემბრის ბოლომდე, არქივის რეორგანიზაციის და ინვენტარიზაციის მიზნით, შეიზღუდა გარე მომხმარებლების მომსახურება და ფონდებში დაცული მასალების გაცემა.

### ვიზუალური ფონდი

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული მიმდინარე გადაცემები, ძველი ვიდეო მატარებლებიდან და კინო ფირებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი, სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) სულ: 148 ჩანაწერი 8 სთ-ზე მეტი მასალა. დამზადდა ტელემუზეუმის 20 გადაცემა. პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა.

კინოფონდში 16 მმ. კინოფირებიდან, ციფრულ (DVCAM მატარებელზე) გადატანილია სხვა და სხვა რედაქციების 10 ერთეული, 19 ნაწილი (უხმო ) 3:10 სთ. მასალა;

ფოტო ფონდში დამუშავებულია, დასკანერებული და საცავში დაბრუნებულია 15 თემის 220 ფოტოანაბეჭდი.

### აუდიოფონდი

გაიციფრა 62 ფირი, ჯამში 25:40:49 საათი, რაც 22,67 GB მასალას უდრის.

### ახალი ამბების არქივის განყოფილება

გაშიფრული და დაარქივებულია 2077 GB ფაილი; 176 საათის მასალა, მონაცემთა ბაზაში ჩაიწერა 3716 ბარათი;

## ▶ კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი

აუდიტორიის უკეთ შესწავლის მიზნით, იგეგმება მოსახლეობის სატელევიზიო პრეფერენციების, მოთხოვნილებების და საჭიროებების განსხვავებული მეთოდებით შესწავლა. განისაზღვრა სტრატეგია და ჩამოყალიბდა ტექნიკური დავალება სატენდერო წინადადებისთვის. მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები შემდეგი კვლევებისთვის სატელევიზიო ბაზრის კვლევა; ტელე აუდიტორიის კვლევა; ინტერნეტაუდიტორიის კვლევა; რადიოაუდიტორიის კვლევა; საიმიჯო კვლევა.

ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვა, რაოდენობრივი კვლევა, გამოკითხა 1500 რესპონდენტი. კვლევის მიზანი:

- პირველი არხის პოზიციონირება;
- გადაცემების რეიტინგი;
- აუდიტორიის ქცევის განსაზღვრა;
- ყურებადობა დროითი შუალედების მიხედვით.

ტელეეთერის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, პირველი არხის მიერ გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით, მეორე კვარტალში მიმდინარეობდა შემდეგი სამუშაოები:

- მაუნყებლის ყველა პლატფორმის უწყვეტი მონიტორინგი;
- პროგრამის ტექნიკური დახვეწის პროცესი;
- მონიტორების კოორდინაცია;
- ახალ სერვერზე გადასვლის პროცესი.

მონიტორინგის მასალების დამუშავების და ანალიზის საფუძველზე მომზადდა სხვადასხვა თემების გაშუქების ანგარიშები: სპორტი - ქალები სპორტში, გენდერული თანასწორობა, შემეცნებითი მიმართულება - ისტორია, მრავალფეროვანი საქართველო - ინფორმაცია ეთნიკური და ენობრივი უმცირესობებისთვის, სამოქალაქო საზოგადოება - ადამიანის უფლებები, ეკოლოგია და გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება, ჯანსაღი ცხოვრება და მედიცინა - კოვიდ 19.

## ▶ ონლაინგადაცემა

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადი იყო ყველა კლასტორმაზა:

საიტის **1TV.GE** სტატისტიკა

II კვარტალი 2020	I კვარტალი 2020
ვიზიტი საიტზე - 16 500 903	ვიზიტი საიტზე - 15 533 745
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 13 722	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 144 421
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 181 338	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 170 700
მეწიგაღწერი მარჯვენაგადაცემა 595 405 (01/04/2020)	მეწიგაღწერი მარჯვენაგადაცემა 531 612 (30/03/2020)






## სტატისტიკა

II კვარტალი 2020	I კვარტალი 2020
ნახვა - 38 200 000	ნახვა - 29 500 000
საშუალოდ დღეში ნახვა - 420 800	საშუალოდ დღეში ნახვა - 324 176
მაქსიმალური მარვენაბელი - 632 000 (22 ივნისი 2020)	მაქსიმალური მარვენაბელი - 567 095 (პირველი იანვარი 2020)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.



# იურიდიული სამსახური

---



## ხელშეკრულებების შესახებ

2020 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 199 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

## სასამართლო და საელსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2020 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	ფ/პ ვახტანგ კანდელაკი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. კანდელაკის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაეკისრა ვ. კანდელაკის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.</p> <p>- ამ ეტაპზე უცნობია, ცნო თუ არა დასაშვებად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი</p>
2	ფ/პ ეკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ორივე მხარის მიერ სააპელაციო წესით.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.</p> <p>- ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს მხარეთა საკასაციო საჩივრების დასაშვებობას</p>

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
3	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.</p>
4	ფ/ვ ავთანდილ ძიძიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
5	ფ/ვ ნუგზარ რუხაძე	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
6	ფ/ვ გზია ზაუთაშვილი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი მ. ზაუთაშვილსა და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შორის დადებული შრომის ხელშეკრულების 2.3 და მე-6 პუნქტები და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაუკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 დეკემბრამდე.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.</p> <p>- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ თავის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო წესით. კასაცია წარადგინა ასევე მ. ზაუთაშვილმა.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მხარეთა საკასაციო საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი.</p>
7	შპს "სტუდია ფონოგრაფი"	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>
8	ალექსანდრა ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>- ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>
9	ალექსანდრა ჟღენტი	პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
10	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-201 მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაუვალა მხოლოდ რეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დაშტრიხული სახით).</p> <p>- იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საიას სარჩელი, საიას-ს მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით</p>
11	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p>
12	ალექსანდრა ხოჯავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;</p> <p>გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.</p> <p>_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
13	ია მახარაძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ სამუშაოდან გათავისუფლების და კომპენსაციის დაკისრების ნაწილში.</p> <p>- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაწყვეტილება ამ ნაწილში გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
14	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	<p>_ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.</p> <p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p>
15	ანა ბურაბელიძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა	<p>_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>
16	დონარა შონავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</p>

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
17	მარია ბოლქვაძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
18	ალ. ყველაშვილი	ავტოსაგზაო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
19	შპს "ბროდვასტ სოლუშან"	დავების განხილვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების და საზოგადოებრივი მაუწყებლის სატენდერო ოქმის ბათილად ცნობა, ტენდერში გამარჯვებულად აღიარება და შესაბამისი ქმედებების დავალება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
20	1. ალექსანდრა გიორგაძე 2. გიორგი ბანძავა 3. დავით სიმონიშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ ა) ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა. - გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში. - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეთა სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა (გიორგი ბანძავას ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნაზე). - საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით.
21	ნუგზარ ჩხაიძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა _ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა საზოგადოებრივ მაუწყებელს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, ნ. ჩხაიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. - გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით.

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
22	<p>1. ქათინო დეკანოზიშვილი</p> <p>2. ნათია შენგელია</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ ნ. შენგელიასთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ნ. შენგელიასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ნ. შენგელიას სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>_ ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც არ დაკმაყოფილდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" და ქ. დეკანოზიშვილის სააპელაციო საჩივრები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილია საკასაციო საჩივარი.</p>
23	<p>1. ლევან გულბანი</p> <p>2. ხათუნა ვაშაძე</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	
24	<p>1. შალვა სამხარაძე</p> <p>2. გიორგი ხაჩიძე</p> <p>3. ზურაბ ჯაოშვილი</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ საქმეები იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.</p>
25	<p>ლევან ლექვიშვილი</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ ლ. ლექვიშვილთან მიმართებით ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი.</p> <p>- შეტანილია საკასაციო საჩივარი</p>

## 2.2 სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლო-ებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2020 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	შპს “Georgian Water & Company“	სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ძირითადი დავალიანების დაკისრების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად და მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 აშშ დოლარის გადახდა. მოპასუხეს დაეკისრა ასევე პირგასამტეხლო, მხოლოდ შემცირებული განაკვეთით. კერძოდ, ა) 76,50 აშშ დოლარი; ბ) 26.11.2014წ.-დან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე 5000 აშშ დოლარის 0,01%-ის გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე.</p> <p>- მოპასუხემ გადაწყვეტილება გასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა განჩინება, რითაც სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დაუშვებლად.</p> <p>- ამ ეტაპზე მოპასუხეს შეტანილია აქვს კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში და ითხოვს სარეზოლუციო გადაწყვეტილების განმარტებას აშშ დოლარის ლარის კურსთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების/განჩინების მიღებისთანავე საზოგადოებრივი მაუწყებელი აიღებს სააღსრულებო ფურცელს და დაიწყებს იძულებით აღსრულებას.</p>
2	შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“	ძირითადი დავალიანების და პირგასამტეხლოს სდაკისრება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ძირითადი დავალიანების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. პირგასამტეხლოს ნაწილში მისი ოდენობა შემცირდა.</p> <p>მოპასუხის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და შესწორება შეიტანა მხოლოდ პირგასამტეხლოს ნაწილში. საბოლოოდ:</p> <p>მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების ანაზღაურება:</p> <p>ა) 100 ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) 4 800 აშშ დოლარის ოდენობით;</p> <p>გ) 8 775,48 აშშ დოლარის ოდენობით;</p> <p>დ) 141 087,50 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით;</p> <p>ე) 12 828,68 ევროს ოდენობით.</p> <p>მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლო:</p> <p>ა) 92,05 ლარი; ასევე, 02.06.2017წ.-დან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდზე ყოველ გადაცილებულ დღეზე 100 ლარის 0,07%;</p> <p>ბ) 2 619,79 აშშ დოლარი; ასევე, 02.06.2017წ.-დან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდზე ყოველ გადაცილებულ დღეზე 4 800 აშშ დოლარის 0,07%;</p> <p>გ) 7 007,02 აშშ დოლარი; ასევე, 02.06.2017წ.-დან</p>



№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
